



სამუშაო შეხვედრა - სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე

პრესრელიზი

13-14 სექტემბერი, 2018 წელი
სასტუმრო „ჰუალინგ თბილისი“, თბილისი

13-14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრების ინიციატივით თბილისში, სასტუმროში „ჰუალინგ თბილისი“ გაიმართება შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე.

სამუშაო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდება შესყიდვების სრულიად განახლებული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში აპროქსიმაციისა და ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ შესატან ცვლილებებზე. შეხვედრის მონაწილეები იმსჯელებენ საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის შემუშავების საჭიროებაზე, ძირითადი პრინციპების, დებულებების, მიდგომებისა და დანართების აუცილებლობაზე. გაანალიზდება სახელმწიფო შესყიდვების არსებული პრაქტიკა და გამოიკვეთება გამოწვევების გადაჭრის გზები. გარდა ამისა, საუბარი იქნება საჯარო შესყიდვების სფეროს ახალ დირექტივებზე, 2014 წლის საბაზისო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსა და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ დირექტივებზე.

ღონისძიებას გაუძღვება საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია. მოხსენებით გამოვლენ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი ნინო წილოსანი. ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე და EBRD და GIZ ექსპერტი ერიკს მეზალის.

შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის აქტიური ჩართულობა სფეროს დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკისა და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ღონისძიება ტარდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.